საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკბის ბალახი

კაკბის ბალახი, დრიადი (Dryas), მარადმწვანე, გართხმული ბუჩქოვანი მცენარეების გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. 10-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია არქტიკულ და სუბარქტიკულ რ-ნებში, ჩრდილო ზომიერი სარტყლის მაღალმთიანეთში, ევრაზიასა და ჩრდ. ამერიკაში. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ერთადერთი სახეობაა – კავკასიის ენდემი – D. caucasica. კ. ბ-ს იყენებენ „ალპური გორაკების“ მოსაწყობად.